

## სასერტიფიკატო კურსი

### კომპიუტერული პროგრამის STATA-ს გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის კურსი დამწყებთათვის

**სასერტიფიკატო კურსის მოცულობა:** 24 საათი

**სასერტიფიკატო კურსში ჩართვის წინაპირობა:**

კურსში ჩართვის მსურველები უნდა ფლობდნენ კომპიუტერთან მუშაობის საბაზისო უნარ-ჩვევებს, ასევე უნდა შეეძლოთ მარტივი მათემატიკური ამოცანების გადაწყვეტა, როგორცაა საშუალო არითმეტიკულის და პროცენტის გამოთვლა.

**სასერტიფიკატო კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა:**

სასერტიფიკატო კურსი განკუთვნილია სოციალურ მეცნიერებებში და მარკეტინგის სფეროში ჩართული ადამიანებისათვის, ვისაც შეიძლება შეხება ჰქონდეს რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, ანალიზთან ან უხდებოდეს მზა რაოდენობრივი მონაცემების გამოყენება. ამ კურსის გავლა ასევე სასარგებლო იქნება სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისათვისაც, რადგან მათ გაულრმავებს რაოდენობრივ მონაცემებთან მუშაობის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ, როგორც სწავლის პროცესში, ასევე შემდგომ პროფესიული საქმიანობაში.

**სასერტიფიკატო კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები:**

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ პროგრამის მონაწილეებს ეცოდინებათ რაოდენობრივი მონაცემების ტიპები, მათი შეგროვების და შენახვის ძირითადი პრინციპები, დამოუკიდებლად შეეძლებათ STATA-ს გამოყენებით მონაცემთა ბაზების ფორმირება, მარტივი და საშუალო სირთულის ბაზების დამუშავება და აღწერითი სტატისტიკური ანალიზის ჩატარება.

**მსმენელთა შეფასების სისტემა:**

მონაწილეთა შეფასება მოხდება კურსის დამთავრების შემდეგ ჩატარებული გამოცდის მიხედვით. გამოცდის მიზანი იქნება შეამოწმოს რამდენად შეუძლიათ მსმენელებს STATA-ს გამოყენებით შეასრულონ პრაქტიკული დავალებები.

**სერთიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:**

კურსის სტრუქტურიდან გამომდინარე სავალდებულოა მონაწილეთა აქტიური დასწრება. გამოცდაზე დაიშვებიან მხოლოდ ის მონაწილეები, რომლებიც დაესწრნენ ლექციების მინიმუმ 75%-ს (9 ლექცია).

კურსის სტრუქტურა ძირითადად იყოფა ორ ნაწილად: მონაცემთა ბაზების ფორმირება/დამუშავება და აღწერილობითი სტატისტიკური ანალიზი. გამოცდის დროს მოხდება ამ ორი მიმართულების დამოუკიდებლად შემოწმება 10 ბალიანი სისტემით. სერთიფიკატის მინიჭება მოხდება იმ შემთხვევაში თუ მონაწილე გამოცდის თითოეულ ნაწილში მიიღებს მინიმუმ 6 ქულას.

№	საკითხები	საათების რაოდენობა
1	კითხვარის/ანკეტის განხილვა, მონაცემების კოდირება. ფანჯრების და ფაილების ტიპები STATA-ში. ცვლადების და მონაცემების ტიპები.	2
2	მუშაობა დირექტორიებთან და ფაილებთან და მათი ბრძანებები. მონაცემთა შეყვანის მეთოდები.	2
3	მონაცემთა დათვალიერებისა და დახასიათების საშუალებები და მათი ბრძანებები. მონაცემთა სორტირება	2
4	სიხშირული ანალიზი, განაწილების ცხრილების ფორმირება და შესაბამისი ბრძანებები.	2
5	შეუღლებული ცხირლების ამოღება და შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლები.	2
6	სხვადასხვა სტატისტიკური სიდიდეების გამოთვლა და მათი მათემატიკური აღწერა.	2
7	ცვლადებისა და მნიშვნელობების დაჭდევა და შესაბამისი ბრძანებები.	2
8	ახალი ცვლადების შექმნა, ოპერაციები არსებულ ცვლადებზე.	2
9	მონაცემთა სტრუქტურის ცვლილება, რეკოდირება და სხვა ოპერაციები.	2
10	გრაფიკების აგება.	2
11	do და log ფაილებთან მუშაობა.	2
12	დამატებითი პრაქტიკული სავარჯიშოები მონაცემთა დამუშავებასა და ანალიზში	2

